ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 284

"2" სექტემბერი 2016 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლების III მიკრორაიონში, I და II კვარტალს შორის მდებარე 484 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.07.011.073) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბაბილონისთვის" (ს/კ: 406121851) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივ ვითვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 1221 მუხლის მე-6 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლების III მიკრორაიონში, I და II კვარტალს შორის მდებარე 484 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.07.011.073) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბაბილონისთვის" (ს/კ: 406121851) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 17 აგვისტოს №32.18.699 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლების III მიკრორაიონში, I და II კვარტალს შორის მდებარე 484 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.07.011.073) შპს „ბაბილონისთვის" (ს/კ: 406121851) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2200 (ორიათას ორასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., N6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი